# რუბიკონი

კვირეული ორგანო

სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირი

№ 13

მისამართი: ტფილისი ხელოვნების სასახლე სერგ. ქ. № 13 ტელ. 17—51

ფასი 150 ათას—მან.

კვირა 29 ივლისი 1923 წ.

კანტორა—პუშკინის ხასაჟი ტელ. № —08


## ხელოვნების მთავარი კომიტეტი.

ამ დღეებში დამთავრდა რეორგანიზაცია მთავარ სახელოვნო კომიტეტის სახალხო განათლების კომისარიატთან. ეს კომიტეტი თითქმის მესამე წელია, რაც არსებობს, მაგრამ ჯერ საგრძნობელი ქართული ხელოვნებისათვის არაფერი გაუკეთებია.

პირველად ქართველი ხელოვნები დიდ ინტერესს იჩენდენ ამ კომიტეტისადმი, პირველი შემადგენლობა ამ კომიტეტისა, დასახელებული იყო განსაკუთრებულ ყრილობაზე ხელოვნების სასახლეში. კომიტეტში არჩეულნი იყვნენ საუკეთესო წარმომადგენლები ქართულ ხელოვნების.

ამ ხელოვნების კონსტიტუციაც დიდხანს მუშავდებოდა, მაგრამ კომიტეტმა მაინც ვერ შესძლო თავის ხელში მოეკრიფა ის ფუნქციები, რომელიც მას ეკუთვნის უფლებით. მთავარი კომიტეტი ერთად ერთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც უნდა განაგებდეს ქართულ ხელოვნებას მთელი რესპუბლიკის მაშტაბით.

არავისათვის არ არის დამალული, რომ ჯერ ეს საქმე სრულიადაც არ არის მოგვარებული.

გამომცემლობის საქმე მთავარ კომიტეტს ჩამოართვა სახელმწიფო გამომცემლობამ, იქ მას წარმომადგენელიც არა ჰყავს, პროგრამმა შემუშავებული მთავარ კომიტეტში ქართული სამხატვრო წიგნების გამოცემისა, სახელმწიფო გამომცემლობას არც კი წაუკითხავს.

თეატრებმა დაიარსეს თავისი საკუთარი სახელმწიფო თეატრების მართველობა, რომელიც ოფიციალურად თითქოს მთავარ კომიტეტს ემორჩილებოდა, საქმით კი სრულიად დამოუკიდებელ ორგანიზაციათ იქცა.

სხვა თეატრები კიდევ დაექვემდებარენ მთავარ პოლიტიკურ მართველობას, პროვინციაში კი, რაც ხდება, ეს ტფილისში არავინაც არ იცის: მთავარ კომიტეტს გამოეყო აგრეთვე კინო-სექცია, რომელსაც დღევანდელ პირობებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რადგან მასზე გამოცხადებული მონოპოლია, და ასე ყველა სხვა ხელოვნების დარგებში.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობას სამართლიანად მიაქცია ყურადღება ხელოვნების მუშაკთა პროფესიონალურმა კავშირმა და მისი წინადადებით მოხდა რეორგანიზაცია სახელოვნო კომიტეტის, რომელსაც კონსტიტუციით დაბრუნებული აქვს უფლება, იყოს უზენაესი მმართველი ქართული ხელოვნების.

აკადემიური თეატრების მმართველობა კიდეც მოისპო და მისი ფუნქციები გადავიდნენ მთავარ კომიტეტში, აგრეთვე დაარსებულია ოთხი სექცია: ლიტო, სახვითი ხელოვნების, თეო და მუზო.

იმედია, მთავარი კომიტეტი ეხლა მაინც გამოიჩენს მეტ ენერგიას და საქმეთ აქცევს იმას, რაც წესდებაში დამტკიცებულია.

პირდაპირ სირცხვილია, რომ დღეს ტფილისში, არ არსებობს ერთი დიდ ტანიანი ჟურნალი, ერთი ქართული წიგნის მაღაზია და თვეები ისე გადის, რომ ერთი ქართული წიგნი სამხატვრო შინაარსის არ გამოვა და მწერლებმა ლამის დასტოვონ თავის პროფესია-

ჩვენ გვგონია, საჭიროა მთავარმა კომიტეტმა თავი მოუყაროს ქართულ ხელოვნების ორგანიზაციების წარმომადგენელთ და ამ თათბირზე გამოირკვეს ქართული ხელოვნების ბედი, რომ მთავრობამ და საზოგადოებამაც იცოდეს, რომ კულტურა სდგას კატასტროფის წინ და თუ მალე არ იქნა მიღებული საჭირო ზომები, შემდეგ საქმეს არაფერი ეშველება და მთელი პასუხისმგებლობა მოეხვევა იმ კომიტეტს, რომელიც აღჭურვილია ასეთი უფლებებით და საქმით კი ჯერ ვერაფერი გაუკეთებია.

თვითონ კომიტეტზეა დამოკიდებული, როგორ დაიცავს თავის ავტორიტეტს და რა უნარს გამოიჩენს ხელოვნების საქმის მოწესრიგებისათვის.

ვარამ გაგელი.

## ნიკო ფიროსმანი მოსკოვში.

ტფილისში დაბრუნდა მოსკოვიდან მხატვარი კირილ ზდანევიჩი, რომელიც საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა გაგზავნა მოსკოვსა და პეტროგრადში ნიკო ფიროსმანის მონოგრაფიისთვის (რომელსაც სცემს სახელმწიფო გამომცემლობა) დაემზადებია და დაებეჭდა კლიშეები და ფერადი სურათები ილუსტრაციისთვის. სამუშაო შესრულებულია 2 თვის განმავლობაში საუკეთესო ტიპო-ცინკოგრაფიაში მოსკოვის პოლიგრაფ-განყოფილებისა და პეტროგრადში (ყოფ გოლიკ და ვილბორგის). წიგნში სულ შევა 48 სურათი შავ ფერად გაკეთებული და 5 გადაღებული ფერადათ (სამ ფერად).

დაბეჭდილი სურათები ძალიან მიაგავს ორიგინალებსა და სამუშაო შეძლების დაგვარად კარგად ასრულებულია.

მხატვარმა კირილ ზდანევიჩმა თან წაიღო 10 სურათი ნიკო ფიროსმანის თავის კოლექციიდაან და გამოაფინა მოსკოვის ქართულ კოლონიის „კულტურის სახლის“ ზალებში (სრეტენკა 11) საერთო აზრია ყველასი, ვინც ნახა ეს გამოფენა, რომ მოეწყოს სრული გამოფენა ამ დიდი და ორიგინალურ ქართულ სახალხო მხატვარის. მოსკოვის ჟურნალებმა! „რუსკოე ისკუსტვო“ „კრასნაია ნივა“ „ოგონიოკ“ და „ლეფმა“ მოინდომეს ამ სურათების ამ სურათების გადაღება. „Русское Искуство„ს გამომცემელმა აბრამოვმა მოგვცა წინადადება დაებეჭდა 10-15 სურათი სპეციალურ წერილით თავის ჟურნალის მორიგ ნომერში. მაგრამ ს. ს. ს. რეს. პუბლიკის აკადემიურ წარმომადგენლობამ რ. ს. ფ. ს. რ. ამხ. ჯგუშიას პირით დროებით, სანამ მონოგრაფია გამოსული არ არის უარი შეუთვალა.

ტრეტიაკოვის გალერეის საბჭო, სახვითი ხელოვნების მუზეუმი მოსკოვში და პეტროგრადში, მონდომებული იყვენ ნიკო ფიროსმანის სურათები შეეძინათ.

მხატვარი **გეორგ იაკულოვი** ამბობს: ეს არის ნამდვილი სენსაცია და აღმოჩენა მხატვრობაში, გასაოცარი ოსტატი, რომელსაც ვერავის ვერ შეადარებ: რუსსო, რომელსაც აქებს მთელი ქვეყანა, როგორც პრიმიტივისტს უფერულია და არადამაჯერებელი ნიკო ფიროსმანის შემდეგ.

**ვლადიმერ მაიაკოვსკი.** „ჩვენ კიდევ გვჯერა მხატვრობის ხელოვნება, ჩვენ წინ სასწაულია. პარიზმა უნდა ნახოს ეს გენია; ის მხოლოდ ძლიერაბაა!..

**ნ. ლაპშინი.** (პეტროგრადი) ნიკო ფიროსმანი ძალიან ნათელია და ძალიან კარგი, ბედნიერია საქართველო„...

ამ რამდენიმე დღეში დათავდება ნიკო ფიროსმანის მონოგრაფიის ტექსტი და დაიწყება ტფილისში ბეჭდვა, ერთი თვისა ან თვენახევრის შემდეგ ტფილისში გამოვა ნიკო ფიროსმანის ძვირფასი მონოგრაფია.

## ლადო გუდიაშვილი

ხელოვნების სასახლეში პარიზიდან ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი წერილების. ამ წერილებში აწერილია ქართველი ხელოვანთა ცხოვრება პარიზში და აგრეთვე რას ეპირებიან გააკეთონ. იმ ასს ახალგაზრდობაში, რომელნიც 1918 წ. ყოფილმა მთავრობამ გაგზავნა ევროპაში, (სამი მხატვარი მოხვდენ: ლადო გუდიაშვილი [illegible] ქიქოძე. შალვა ქიქოძე ოთხი წელია რაც გადაიცვალა ტუბერკულიოზით, განსვენებული უთუოდ ნიჭიერი მხატვარა დადგებოდა, დავით კაკაბაძემ პარიზში წასვლამდე გაათავა აკადემია პეტროგრადში: ის უთუოდ გამოცდილი ოსტატია და ამას გარდა საკმაოდ მომზადებული თეორიულად, ტფილისში ჩამოვიდა კიდეც მისი დაწერილი და პარიზში დაბეჭდილი წიგნი ფრანგულად „გაკეთებულ სურათის“ დეკლარაცია. პარიზში ყველაზე უფრო იწვევს ინტერესს ლადო გუდიაშვილი. ჩვენ ხელთ არის მრავალი რეცენზიები ფრანგულ და ინგლისურ ჟურნალებში და გაზეთებში, რომელნიც ერთხმად აღნიშნავენ ლადო გუდიაშვილის უტყუარ ნიჭს და წინსვლას. აგრეთვე ამ ჟურნალებში დაბეჭდილია რეპროდუქციები მისი ახალი სურათების, რამდენადაც ეს იძლევა დაფასების შესაძლებლობას შეიძლება ითქვას, რომ ლადო გუდიაშვილი ყველაზე უფრო ორიგინალური ქართველი მხატვარია: მართალია მას ძირეულად აქვს გავლენა ქართული ფრესკების და ნიკო ფიროსმანის, მაგრამ თანამედროვე ტეხნიკა და ორიგინალური ნიჭი მხატვრის, მას ინელებს თავისებურად და საკუთარ სახეს იკვეთავს.

ბევრი მისი სურათები წაულია ამერიკაში ბუკლინის გალერიის დირექტორს, აგრეთვე ერთი სურათი უყიდია იგნაციო ზოლუაგას, თუ არ ვცდებით ესკურიალისთვის. ლადო გუდიაშვილზე გამოუშვია პატარა წიგნი კრიტიკოსს.

მაგრამ სამწუხაროდ ლადო გუდიაშვილი მაინც განიცდის საშინელ მატე-[illegible] სჩანს პარიზში ყველა ახალგაზრდა ფიზიკური შრომით ირჩენს თავს და მუშაობენ დღეში ცხრა საათს. ტფილისში ცნობილი რუსი ფუტურისტი ილი ზდანევიჩი უბრალო მუშად მსახურობს ქარხანაში. ლადო გუდიაშვილის მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ მას დაშავებული აქვს მაცხენა ხელი.

ჩვენ გვგონია მთელი ქართველი საზოგადოების მოვალეობაა დაეხმაროს ამ უნიჭიერეს ქართველ მხატვარს რომელსაც აქვს არა თუ მომავალი არამედ, დღევანდელი დღის მიღწევებიც. მისი მდგომარეობა მას შემდეგ გახდა ცუდი, რაც მოესპო სტიპენდია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ სახალხო განათლების კომისარიატი აუცილებლად მიაქცევს ამას ყურადღებას და აღძრავს საკითხს სახალხო კომისართა საბჭოში, რომ მას გაუგრძელდეს სტიპენდია. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ გუდიაშვილის დაღუპვა დანაშაული იქნება ქართველი ხალხის წინაშე. ჩვენ მოვითხოვთ ქართველ ხელოვანთა ორგანიზაციებმა და ხელოვნების სასახლემ მიაქციოს ამას ყურადღება და გაუწიოს დახმარება.

## ალექსანდრ ბლოკ

**ალექსანდრ ბლოკ. პოემები: „თორმეტი და „სკვითები“**
**თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილის წითელი წიგნის გამოცემა: სერია C № 1**

ალექსანდრე ბლოკ უდიდესი რუსის პოეტია. მას სამართლიანად სთვლიდენ პუშკინის მემკვიდრეთ რუსეთის პოეზიაში. ალექსანდრ ბლოკს ახასიათებს პუშკინის ჰარმონია და ლირიკა დაწმედილი. და მისი სახელწოდებაა „ყველაზე უფრო უმოცარტესი“ რუს პოეტებში. მისი უდროვოდ დაღუპვა ჯერ კიდევ ახალგაზრდასი (გარდაიცვალა პეტერბურგში სამოქალაქო ომის დროს ცინგას ავადმყოფობით) ახალ ახალ ლეგენდებს ბადებს მის სახელის გარშემო და რუსული პოეზია და კრიტიკა ყოველ დღე ცდილობს მის კანონიზაციას. დღე არ გავა რუსეთში, რომ არ გამოვიდეს წიგნი ალექსანდრე ბლოკზე. ყველაზე მონუმენტალური ჯერჯერობით არის მაინც პოეტ ანდრეი ბელლის მოგონება, რომელიც იბეჭდება მთელ ტომებათ. ცნობილია რომ ვიაჩესლავ ივანოვი, ყველაზე დიდი დარჩენილ რუს პოეტებში, რომელიც ამ ჟამად სცხოვრობს ბაქოში ამზადებს დიდ წიგნს ალექსანდრე ბლოკზე. ალექსანდრე ბლოკმა ერთად ერთმა შეირჩინა პოეტის ხმა რევოლიუციის დროს. ნაწილი რუსი პოეტების გაემგზავრენ ემიგრაციაში: კ. ბალმონტი, ი მუნინი, ზ. ჰიპიუს და დ. მერეჟკოვსკი, მოცილებული სამშობლო ნიადაგს ეს პოეტები თანდათან ამოიწურენ შემოქმედებით. ვალერი ბრიუსოვი დარჩა მოსკოვში, მაგრამ ყველას ბარაბანათ სცემს მისი ლირიკა, ვიაჩესლავ ივანოვი გაჩერებულია ბაქოში, სპარსეთის საზღვარზე. მხოლოდ ალექსანდრე ბლოკი იდგა ერთი, როგორც გლადიატორი რევოლიუციის დროს პეტერბურგში და ამ თოვლში კიდეც დალია სული სიმშილისგან. სამაგიეროდ მან მოასწრო ერთად ერთმა დასწერა რევოლიუციის პროცესში ნამდვილი შედევრები: ეს არის პოემები: „თორმეტი“ და „სკიფები“.

თორმეტის შესახებ არსებობს ორი აზრი: აქამდის ვერ გამოურკვევიათ: რევოლიუციის მომხრეა ამ პოემაში ა. ბლოკი თუ წინაამღდეგი? რუსეთში ამტკიცებენ, რომ ა. ბლოკმა მიიღო რევოლიუცია, ემიგრაციაში პირიქით, რომ „თორმეტი“ დაწყევლაა რევოლიუციის. მაგრამ აშკარაა პოეტისთვის, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოემის ეპილოგში თოვლში გამოჩნდება ავაზაკების შემდეგ თეთრი ქრისტე, მიუხედავად იმისა, „თორმეტი“ არის მიღება რევოლიუციის, ეს ასე უნდა ბა „სკიფებს“ მე მას ერთხელ უწოდე რუსეთის სოვნარკომის მანიფესტი. ეს ლექსი რუსეთთან ერთად ამტკიცებს რევოლიუციასაც. რუსეთში მთელი ათი წლობით არ დაწერილა ასეთი ხერხემალ მაგარი ლექსი, ეს ლექსი დაწერილია ბრესტ ლიტოვსკის ზავის შემდეგ და შეიცავს ნამდვილ წინასწარმეტყველებას.

ეს პოემები რამდეჯერმე არის გადათარგნილი და გამოცემული ყველა ევროპიულ ენებზე. უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველოში, რევოლუციის სახელით ბევრი უნიჭო პოეტები ითარგმნებიან, ალბად შემდეგშიაც აპათ არავინ წაიკითხავს. ალექსანდრ ბლოკი პოეზიის სამუდამო ტვირთია. მისი თარგმნა ნამდვილი პოეზიის დამსახურებაა. პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილს რა საკვირველია შეგნებული ჰქონდა ეს პასუხისმგებლობა და ამიტომ თარგმანი გამოვიდა დიდებული. ორივე პოემა, პირველი რითმებით და მეორე ურითმოთ გადმოთარგმნილია სრული უცოდველობით. ვალერიან გაფრინდაშვილისათვის საჭირო, რომ იყოს ეს კომპლიმენტი შეიძლებოდა თქმა, რომ ეს საუკეთესო თარგმნის ლექსებს.

შესაძლებელია სხვა დროს ის ამას არ აფასებდეს, მაგრამ ალექსანდრე ბლოკის თარგმანში, მან მართლაც სასწაული მოახდინა, რადგან ამ პოემის თარგმნა არ შეიძლება იმდენად რუსული სულით და ეროვნული სხვანაირობით არის დაწერილი ეს პოემები.

ამიტომ ეს თარგმნები დარჩებიან ნამდვილ პოეზიას: და დამსახურებათაც ჩაეთვლებათ პოეტს... წიგნი ღირს 40 კ. ჩერვონცებით და გამოცემულია სუფთად წიგნს თან ახლავს ალექსანდრე ბლოკის ახალგაზრდობის სურათი...

ტ. ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პუშკინის სახლი

პუშკინის სახლი რუსეთის სამეცნიერო აკადემიასთან პეტროგრადში მიმდინარე ზაფხულის ბოლო რიცხვებში აწყობს ლიტერატურულ გამოფენას „რუსეთის მხატვრული ლიტერატურა რევოლიუციის ხანაში“ გამოფენაში იქნება შემდეგი განყოფილებები: 1) ლექსები 2) მხატვრული პროზა 3) დრამატიული ნაწარმოები 4) თარგმანები 5) საისტორიო სალიტერატურო გამოკვლევები და კრიტიკა 6) ხალხური წიგნები 7) საილუსტრაციო გამოფენები და გრაფიკა 8) საბავშო გამოცემები 9) მუსიკალური ნაწარმოებები სიტყვებით 10) ერთდროული გამოცემები 11) საზღვარგარეთის გამოცემები. 12) ბიბლიოგრაფია 13) პუშკინიანი 1) მწერლების და კრიტიკოსების პორტრეტები 15) ავტობიოგრაფები პუშკინის სახლი მოუწოდებს თხოვნით ავტორებს, მთარგმნელებს, მხატვრებს და გამომცემლებს გამოგზავნონ გამოფენისათვის შეძლების დაგვარათ ყველა თავისი ნაწარმოებები და გამოცემები, რომლებიც გამოცემულია 1917 წლიდან ზემოთ აღნიშნულ დრომდე. პორტრეტები კარგი იქნება მივიღოთ სახელი, მამისახელის, გვარის და წლის აღნიშვნით რომელ დროსაც პორტრეტი ეკუთვნის და ავტობიოგრაფიის და მისი ნაწარმოებების აღრიცხვით თუმდაც სულ მცირე ტექსტის დართვით. სასურველი იქნება კიდევ მიღება კერძო გამოცემების კატალოგის და მათი პორტრეტების. გამოფენის გათავების შემდეგ ყველა გამოგზავნილი მასალები მესაკუთრესთან შეთანხმებით შენახული იქნება მუდმივათ პუშკინის სახლში. თბილისიდან ყველა გამოსაგზავნი მასალები უნდა გაეგზავნოს პროფესორ მ. პოლიეკტოვს. განოვის ქუჩა №21 ტელეფ. 16—16.

პროფ. მ. პოლიეკტოვი.

### პაგანინი

სცენაზე უკრავს პაგანინი ქარვის ქიანურს.
ბნელი პარტერი შეუმჩნევლად ივსება წყალით
წარღვნაა. უსმენს ის კივილებს ადამიანურს.
მის წინ აცურდა ქიანური—ნავი ახალი.

როგორც ნიჩაბი მოიმარჯვა მიზრაფი გძელი.
თავისი სკრიპკა შეაცურა პარტერში ხარბად.
სასტიკ მორევში ილუპება თეატრი მთელი
და წყალზე ქალის ცარიელი მოსჩანს ხაბარდა.

ტალღამ ლოჟები, კულისები ნაზათ აწეწა.
ოფელიების სულ მატულობს რიცხვი და ფერფლი.
არჩილ მიქაძე მეწამული და ნუაზეზა—
ახლა ქერძაფის საშინელი და ორი მსხვერპლი.

ღამის თეატრი აჩრდილების აქანდაზია.
და ქოშის ყვავილს გაეკიდა მისანი ნავით.
გერმაფროდიტი შავ ფასკუნჯით და ფანტაზია
მექიანურე ბრაზიანი სოველ საკრავით.

ხელში უჭირავს გამარჯვებულს თამარის ქოში.
ნეტავი თვითონ განწირული თუ გადარჩება?
პოეტების ბრბო ელოდება ქუჩაში დროშით.
ისმის დიდება—მოვარდნილი ვეფხურ მარშებათ.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

### გამოთხოვება უცხო ქალთან.

თქვენ დატვირთულხართ თეთრი ფერებით,
ვით ბეატრიჩე და ვით ჰანელლე;
ბაღში პატარა კრავს ეფერებით
და გაღიმება სიცხეს ანელებს.

თქვენს ლურჯ თვალებში ვერცხლის შუქია,
ზამბახებია თქვენი ხელები..
ო, უცხო ქალი არვის უქია
ჩემზე უტკბილეს ამეტყველებით!

მაგრამ გამწირეს თითქოს ღმერთებმა
და ამიკრძალეს წმინდა ზმნები:
თქვენზე ლექსები ზოგიერთებმა
გადმომისროლეს ხელთათმანებად.

სულში ცრემლები მეწვეთებიან,—
მეც ვემატები ამდენ პარიებს:
სონეტს რომ ვიწყებ ტერცეტებიდან
ველარ ვამთავრებ კვარტენარიებს.

ყველა ვარდები უკვე ხმელია
და მათი მზერა აღარც მე მინდა.
ალბად რითმები გამომელია,
ალბად ოცნება გადამებინდა...

კონსტ. ჭიჭინაძე.

### მიმოზა სახრჩობელით

მიწისფერ თვალებს გავახელ ნელა,
ფერმკრთალ ტუჩებით დავკოცნი ყვავილს,
უცნაურ ხმებით მეწვევა ლხენა
და მომინდება ფერები ყავის.

ჰო, მე ის ვნახე. ის იყო, მართლა,
თითქოს ჯეირნებს ზვერავდა მინდვრათ.
ჰო... იმან ხელი არ ჩამომართვა
და მოლოდინი ისევ დაიმტვრა.

ყველანი ჩვენსკენ დინჯად მოდიან
მე მას აუწერ მკერდისფერ ატამს
(მომაგონდება ლედი გოდივა)
ის მზითვად იმედს არ გამომატანს

და მწუხარება ამძიმებს ხელებს,
მოწყენით მომცემს ხელში მიმოზას
და თან უსიტყვოთ დაასახელებს,
რომ გული ჩემთვის არ შეიმოსა

ტუჩებს მოუნდათ პასუხი ვრცელი,
მაგრამ მიმოზა მიმზერდა გველათ
და ძველი წიგნის ორი ფურცელი
მას მოუმზადე მე სახრჩობელათ.

ნინა თარიშვილი.

### უკანასკნელ ლექსებიდან

ტფილისის მერე ეს პროვინცია
როგორ გაძინებს, გინდა იცინო.
ჩვენს ძველ სოფელში ერთი პრინცია
და პრინცესები: ჰელლი, ციცინო.

ეს თრობის მტვერი ხეებზე ხეებს
ამ აკაციას, ტყემლიდან ატამს
სურნელ ტალღებად ქარებში ატანს
და სუნთქავ ველურ პარფიუმერიას.
ნუ გაიხსენებ დაცემულ დღეებს
და ნურც გაწმინდავ წარსულს მტვერიანს
იყავი ბავში, აჰყევი კატას,
როგორც საყვარელ ქალს ისტერიანს.

საყდრის გუმბათებს აღარ ვახსოვარ.
სალამი გუმბათს! ბრწყინვალე მნათობს.
ღამდება მწვანედ და ფიქრი გვათოვს.
ზარების ლოცვა ქარმა დაქსოვა:
იესო ჩემი სულის მაცხოვარ...
ილეკოს გზები
წამოსულ წყალის
და წმინდა ბზები
კუბოთა კვალის
თეთრ ყვავილებით დამარხეს ქალი.
ხვალ ქრისტე მოვა, ელიან მკვდრები.

მე საწამლავით ბარძიმებს ველი
მე—ველი დარებს—ცა ზამბახდება
მოვა პრინცესა ციცინო ჰელლი
ალბად სიზმარიც კარგათ ახდება.

შალვა კარმელი.

# მწერალთა კავშირი

მიმოხილვა.

ყოველთვის მოსაწყენია განმეორება. შესაძლებელია ეს უკანასკნელი გახსენებაც ზედმეტი იყოს, მაგრამ ჩვენ ვეცდებით ფაქტების ანალიზით გავარკვიოთ დღევანდელი მწერლობის მდგომარეობა. შესაძლებელია აგრეთვე არც ამას ჰქონდეს გადამწყვეტი გავლენა, შეიძლება ამით მწერლობის ყოფნა არ გამოიცვალოს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ფართო საზოგადოებამ და მმართველ პარტიის წრეებმაც არ იციან, როგორ კატასტროფის წინ სდგას დღეს ქართული მწერლობა და კულტურა.

ჩვენ თავს დავანებებთ, რაც იყო რევოლიუციამდე... ე. ი. 1917 წლამდე. წინანდელი დრო ბევრჯელ ყოფილა დახასიათებული (მართლაც სასწაულს და ერის ატავისტურ ძალას შეეძლო მოეგერებია ცარიზმის ალარმისტების დაუფარავი იერიშები, როცა ყოველივე ეროვნული კრამოლად იყო გამოცხადებული. რევოლიუციის პირველ დღეებშივე დაიწყო ეროვნულ კულტურისათვის ბრძოლა. მართალია მაშინ არ იყო გარკვეული რევოლიუციის პერსპექტივები, ყოველ დღე შეეძლო კატასტროფით გაეთავებია რევოლიუციის პროცესი, ამიტომ თავისთავად საზოგადოებისა და რევოლიუციონერთა ყურადღებაც მარტო პირდაპირ რევოლიუციის ხსნისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ქართველი მწერლები მიხვდენ, რომ რევოლიუცია ჰქმნის ახალ უფლებას, შეიძლება შეირჩინო ის რასაც მოსწოებ მოითხოვო და მიიღო რაც შემდეგ თვითონ ხალხისთვის შეიქნება აუცილებელი, ხალხი კი წარმოუდგენელია ეროვნულ კულტურის გარეშე.

5 ოქტომბერს 1917 წელს ინიციატორთა ჯგუფმა მოიწვია ყველა ქართველი მწერლები და ამ ყრილობაზე პირველად ჩაეყარა საფუძველი სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს. უნდა ითქვას, რომ მაშინ რუსეთშიც არ არსებობდა მწერალთა კავშირი, იქ თითქმის ნახევარი წლის შემდეგ მოხდა ამის ორგანიზაცია. იმ დროსაც ქართული მწერლობა დაყოფილი იყო ბევრ ჯგუფებად, ყველაზე მემარცხენ ჯგუფი „ცისფერი ყანწები“ს სრულიად უარყოფდა კონსერვატორულ მწერლობას, მაგრამ ორგანიზაციული მიზნით ეროვნული ინტერესის დაცვისთვის, ეს ჯგუფი მოხვდა მწერალთა კავშირის ორგანიზატორთა შუაგულში და კავშირის დაარსების დღიდანვე იცავს ამ პრინციპებს. საჭირო იყო შექმნილიყო მწერლობის ავტორიტეტი, ამისათვის არ იყო უკეთესი საშუალება, თუ არა ასეთი მთლიანი კავშირის დაარსება. დღეს კავშირს თითქმის ექვსი წლის ისტორია აქვს და შეიძლება ობიექტიურად დაფასება გაკეთებულის. პირველი და უდიდესი ფაქტი კავშირის მოქმედებაში ის იყო, რასაკვირველია, რომ შეერთა სხვადასხვა ჯგუფის მწერლები და დაისახა მიზნად კოლექტიური მოქმედება. მწერალთა კავშირმა გადაწყვიტა მწერლობის ავტორიტეტისთვის და დაფასებისთვის გაემართა მთელი რიგი იუბილეების. შემუშავებულ იქნა კიდეც სია. მოეწყო იუბილეები: შიო არაგვისპირელის, ვასილ ბარნოვის, დავით კლდიაშვილის... ამ იუბილეებს მთელ საქართველოში ქონდა რეზონანსი: და იმდენად დიდი იყო ავტორიტეტი მწერალთა კავშირის, რომ თუმცა შიო არაგვისპირელმა საპროტესტო წერილიც დაბეჭდა ერთ ერთ გაზეთში, როცა ერთ ქართულ შკოლას ქალაქის მართველობამ ჩეხოვის სახელობის შკოლა დაარქვა, მაინც მისი იუბილის დროს ყველაზე დიდი საჩუქარი ქალაქის მართველობამ გაიღო. მაშინ, როცა „ცისფერ ყანწებს“ პირველი იერიშები მიქონდა რუტინულ ძველ მწერლობაზე და შეუბრალებლად ხსნიდენ იარებს, როცა მთელი ჯგუფი ამ შკოლის ქუთაისში თვით კავშირის წინაამდეგი იყო თვითონ პაოლო იაშვილი, რომელმაც დაიწყო ეს ბრძოლა ახალისთვის, სიტყვებს ამბობდა ამ იუბილეებზე და შეიძლება ითქვას მარტო ერთმა გაუმართა დავით კლდიაშვილს იუბილე. რასაკვირველია საზოგადოება ხვდებოდა ამ ერთ სულოვნებას და ეს იყო მიზეზი, რომ ყოველი საღამო კავშირისა რომელიც საჯაროთ ეწყობოდა იწვევდა აუარებელ ხალხს, სტოვებდა დღევანდელი კურსით რომ ვიანგარიშოთ მილიარდებს, და ამ საღამოების მოწყობაში მწერლებთან ერთად მონაწილეობას იღებდენ ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები და დამსახურებული პირები. მაგალითად ერთ საღამოზე ცაბეტი დიასახლისი იყო და ამ საღამოს ნამდვილი ინტერნაციონალის ხასიათი ქონდა ტფილისში: ამ საღამოზე გამოვიდენ ყველა ერების მწერლები; განსაკუთრებით წარმოდგენილი იყო სომხური მწერლობა: მონაწილეობდენ ოვანეს თუმანიანი, იოვანესთანი, შირვანზადე, ფაფაზიანი, არტისტი ოვანეს აბელიანი ე. ი. ყველა ვინც საუკეთესო იყო ამ ერის მწერლებში როცა პირველად 1919 წელს მწერალთა კავშირმა დაადგინა ჩემი წინადადებით მოეწყო პოეზის დღე 6 მაისს, რომ წვიმას არ დაეშალა გრანდიოზული ცერემონიალი სამუდამოთ დაამახსოვრდებოდა ტფილისს, ამ დღეს განზრახული იყო ალექსანდრეს ბაღში ხელოვნების მიტინგის გამართვა. განსაკუთრებული ცირკულიარით მოსწავლე ახალგაზრდობა განთავისუფლებულ იყო ამ დღეს მეცადინეობიდან. ამ დღეს ოვანეს თუმანიანს გამოყავდა მთელი სომხური ორგანიზაციების სათვისტომოები რომელთა თავმჯდომარეც ის იყო და აგრეთვე ყველა სომხური გიმნაზიები.... ეს დღე აქამდე ტრადიციათ დარჩა ქართულ მწერლობას...

კავშირის ავტორიტეტი: იმდენად მაღლა იდგა, რომ მაშინდელმა მთავრობამ ქალაქის სამართველოს ძალით. რომელსაც არ ქონია არც ერთი პრეცედენტი კონფისკაციის მოხდენის, მწერალთა კავშირის თხოვნით კონფისკაცია უქნა ყოფილ „ან-ნას“ და გადასცა მწერლებს თავიანთ კლუბისათვის. აქ მოეწყო შემდეგ კლუბი მწერალთა კავშირის „ქიმერიონი“. ეს კლუბი დახატა სერგეი სუდეიკინმა, რომელიც ეხლაც და წინეთაც მიჩნეული იყო საუკეთესო მხატვრად: მას ეხმარებოდენ ქართველი მხატვრები: ლადო გუდიაშვილი და დავით კაკაბაძე. (აგრეთვე საუკეთესო ქართველი მხატვრები): ეს ნახატობა ეხლაც იწვევს გაკვირვებას უცხოელებში, რომელნიც მოდიან ევროპიდან და რუსეთიდან, და სწერენ კიდეც ამაზე. ექსპლოატაცია ამ კლუბის თვეში სტოვებდა კავშირის კასისთვის 1500 მ. ოქროთი. სრული მწერალის ობიექტივობით და კეთილშობილი მადლიერობის გრძნობით და შეგნებით რომ ელაპარაკები პრესის საშვალებით ხალხს უნდა ითქვას! რომ არავის წარსულში იმდენი არ გაუკეთებია ქართულ ხელოვნებისთვის, როგორც ბ. ჩხიკვიშვილს. მისი ინიციატივით მოხერხდა, რომ მწერალთა კავშირს მიეცა ის შემოსავალი. რომლითაც ეხლა არსებობს ქართული დამშეულთა დამხმარე საზოგადოება. ქალაქის სამმართველომ დაადგინა: მთელი შემოსავალი კლუბებიდან და ლოტოდან ტფილისში და საქართველოში და აგრეთვე მთელი შემოსავალი რომლითაც ბევრჯერ ქალაქი თეატრებს და გასართობ ადგილებს უნდა გაყოფილიყო შუაში: ნახევარი ქალაქის ღარიბთა უზრუნველყოფის კომიტეტს და ნახევარი მწერალთა კავშირს: სამი თვე! განმავლობაში მწერალთა კავშირს შემოუვიდა 1920 წელს დეკემბრამდე 3 მილიონი მანეთი, მაშინდელი ოქროს ანგარიშით 10 ათას მანეთი ოქროთი და შეიძლება მეტი; კავშირმა ამ თანხით შეიყიდა კინო-თეატრი „მინიონი“ (შემდეგ ეს თეატრი წაიღო საქარ. პროფ. კავშირთა საბჭომ) და შეიყიდა ქაღალდი დიდ ტანიან ჟურნალის გამოსაცემად. კავშირს წინ და წინ ქონდა გადახდილი სამი ნომრის საყოფ მასალების ჰონორარი ავტორებისთვის. 1920 წლის ბოლოში როცა ტფილისში ძალიან გახშირდა ქეიფი და აგრეთვე საგრძნობელი გახდა საწვავ მასალების ნაკლებობა მთავრობის განკარგულებით დაიკეტა ბევრი კლუბები, და მათ შორის ყოფილი ქართული კლუბი (ახლა წითელ არმიელთა ცენტრალური). მაშინ მთავრობის განკარგულებით ეს კლუბი უნდა გადასულიყო მწერალთა კავშირის ხელში (საქმეს ვაწარმოებდით კოტე მაყაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე და მე). კომისიამ მიიღო თანხმობა როგორც ქალაქის მართველობის ისე კლუბის დამბრუნებელ წევრთა. ამ კლუბს ჰქონდა ძირითადი თანხა 30 მილიონი, ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა ტფილისში და აგრეთვე ბევრი ქარვასლის შემოსავლიანი შენობები და სახამბაც. აგრეთვე საზაფხულო სეზონში, ეს კლუბი ყველაზე უფრო შემოსავლიანი იყო ტფილისში. ამის გარდა გადაწყვეტილი იყო და საკანონმდებლო კომისიებში და უმთავრეს ორგანოშიც დგებოდა საკითხი კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანის, და აგრეთვე განსაკუთრებული ბეგარის დაწესების ხელოვნების ფონდის შესაქმნელად, ამასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე პენსიების საკითხიც, თუმცა ზოგი დამსახურებული მწერლები იღებდენ ისეც პენსიებს სახელმწიფოდან. აგრეთვე რაც ყველაზე საინტერესოა მუშავდებოდა გეგმა მწერალთა კავშირში სახელმწიფო გამომცემლობისა. პენსიების წესდების შედგენა დავალებული გვქონდა მე და პავლე ინგოროყვას, სახელმწიფო გამომცემლობის მემორანდუმი, რომელიც დამავალა კავშირმა მე შემედგინა ეხლაც ინახება მწერალთა კავშირის არქივში.

ჩვენ გვგონია, რომ გადამწყვეტი როლი ასეთ წარმატებით საქმის წაყვანაში, იმას ქონდა, რომ მწერალთა კავშირი მაგარი იყო შინაგანი ორგანიზაციული ერთობით და რომ ეს ერთობა უთუოდ გაიტანდა თავის საქმეს. მე ეხლა სახელდახელოდ მაგონდება ფაქტები, მათი დასაბუთებული წარმოდგენა აშკარად გახდიდა, რომ ქართული ხელოვნების მოგვარების საქმე გათავებული უნდა ყოფილიყო.

1921 წელს, როცა დღევანდელი მთავრობა ჩაუდგა საქართველოს სათავეში და ძალა უფლება კომუნისტურმა პარტიამ აიღო, როცა მოხდა ლიკვიდაცია ისეთი ძველი დაწესებულებების, როგორიც ქ. შ. წ. კ. ს. (მისი ფუნქციები შემდეგში გადატანილ იქნა სახელმწიფო გამომცემლობაში) საქართველოს მწერალთა კავშირი მაინც დატოვებულ იქნა როგორც ორგანიზაცია. სისტემა საბჭოთა კონსტიტუციების გულისხმობს წარმოებით პრინციპებს, ამიტომ მწერალთა კავშირი ვერ მოხვდა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში, მას ჩამოეცალა პროფესიონალური ფუნქციები, რომელიც ქონდა წინად, მაგრამ დატოვებულ იქნა კულტურულ ორგანიზაციათ, როგორც ეს არის დღეს რუსეთშიც.

მწერალთა კავშირის დელეგაციამ იმავე წელს სთხოვა მთავრობას გადაეცა კავშირისთვის „ხელოვნების სასახლეთ“ ყოფილი დავით სარაჯიშვილის სახლი, რომელიც შენდებოდა ამ მიზნით და რომელიც შემდეგ მემკვიდრეებმა მიყიდეს ა. ხოშტარიას. საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი, რომ ეს სახლი გადასცემოდა მწერალთა კავშირს ხელოვნების სასახლის მოსაწყობად. პირველი დეკლარაცია რომელიც გამოუშვა რევოლიუციონურმა კომიტეტმა საქვეყნოდ აცხადებდა რომ **შოთა რუსთაველს** დაუდგამდა ძეგლს მთავრობა, ამისთვის გულისხმობდენ მაშინ მილიარდიან თანხას, მწერალთა კავშირისთვისაც მოულოდნელი იყო ასეთი განცხადება ეს რასაკვირველია გულისხმობდა ქართველ ხელოვნების წარმატებისთვის, წინად განრახულ მოფიქრებას, აგრეთვე მწერლები და ხელოვნების მუშაკები აყვანილ იქნენ სახელმწიფო მომარაგებაზე, და მაშინ როცა ტფილისში არ იშოვებოდა არავითარი სანოვაგე, ბევრი კავშირის წევრი გადარჩა სიმშილით სიკდილს, აგრეთვე იყო ბინის საკითხშიც, ყველას ახსოვს ალბად, რა საშინელება იყო ტფილისში ბინის საკითხის გამო, ეს დანტეს ჯოჯოხეთიც ასცდა მწერლებს, რადგან აგრეთვე სპეციალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აგვისტოს პირველ რიცხვებში მოეწყობა მთელ საქართველოში

# ტურნე „ცისფერი ყანწელების“

**მარშრუტი:** ბათომი, სოხუმი, ქუთაისი, ფოთი, სენაკი, ჭიათურა, გორი, ხაშური, სურამი, ბორჯომი, წალვერი, მანგლისი, სიღნაღი, თელავი.

პროგრამმა და დღეების გაწესრიგება ცალკე იქნება გამოცხადებული.

## ბიბლიოგრაფია

„საქართველოს გული“ არტურ ლეისტი. სახელმწიფო გამომცემლობა.

ძალინ ძვირად მაგრამ მაინც სახელმწიფო გამომცემლობა ახერხებს გამოუშვას ქართული წიგნი. ამიტომ გასახარია, როცა დაინახავ ახალ წიგნს ქართულად — ტფილისში დღეს მარტო ერთ რუსთაველის პროსპექტზე შვიდი წიგნის მაღაზიაა გმნსაკუთრებით რუსების—რასაკვირველია ქართული წიგნი აქ ჩნდება როგორც წვეთი ერთი ზღვაში. მაგრამ იმედი მაინც დაიბადება იშვიათ ახალი გამოცემის დანახვით. არტურ ლეისტის წიგნი „საქართველოს გული“ საშუალოა მხატვრულ და მეცნიერულ ნაწარმოებს შორის. ეს ერთგვარი დოკუმენტია არტურ ლეისტის 40 წლის საქართველოში ყოფნის. წიგნის იდეაც მაშინ დაიბადა როცა მას საქართველოს ხელოვანთა კავშირმა შარშან მას 40 წლის იუბილე გადაუხადა. საუკეთესო ნაწილი წიგნის შეიცავს მოგონებებს, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეზე; რომლის მეგობრადაც ითვლებოდა არტურ ლეისტი საქართველოში ჩამოსვლის პირველ დღიდან.

ნამდვილი გერმანული დაკვირვებით და ყველაფრის მახსოვრობით არის დაწერილი ეს მოგონება. ხანდისხან დაჰკრავს ლირიული პაფოსიც მთელ შრომას და სასიამოვნო საკითხავად ჰხდის სტრიქონებს, აგრეთვე გერმანული დაკვირვებით და სიმართლის დაცვით არის აწერილი საქართველოს ბუნება: ყოველი ასეთი წერილი აგრეთვე მიეკუთვნება რომელიმე მოგონებას: როგორც „საგურამო“ ან „აკაკის სხმშობლო“. არის ისეთი წერილებიც, რომელშიც პირველად ლაპარაკობს არტურ ლეისტი საქართველოში, მაგალითად „ქართველები და ზღვა“. დანარჩენ თავებში აწერილია ქართული ტიპები, გადასული და თანამედროვე: ქალების და კაცების: ყველა წოდებათა: სოფლის გლეხი, აზნაური, თავადი: აგრეთვე ყოფა ცხოვრება: ამ წერილებში ბევრი ისეთი რამ არის, რომელიც მარტო არტურ ლეისტს შეუმჩნევია.

წიგნს დართული აქვს ვალერიან გუნიას, თედო სახოკიას და თვითონ ავტორის წინასიტყვაობა. წიგნი დაწერილია ძველი ქართული ენით, ზოგი თარგმანი ეკუთნის თედო სახოკიას.

ჩვენ გვგონია, რომ ყოველი ქართველი შეიძენს და წაიკითხავს ამ წიგნს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ წიგნს მოყვება კიდევ ახალი წიგნი არტურ ლეისტის და ამასაც გამოსცემს სახელმწიფო გამომცემლობა.

## ქრონიკა

**—თეატრების შეკეთება.** რუსთაველის და სახ. პატარა თეატრების შესაკეთებლად ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ, გადასდო 11 მილიარდი მანეთი. თეატრების შეკეთება დაიწყო ამ დღეებში.

**—ჰოვანეს თუმანიანის ნაწერების გამოცემა.** ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ ჰოვანეს თუმანიანის ნაწერების გამოსაცემათ, გადასდო 3,430 ჩერვონცი.

**—სახელოვნო კომიტეტის რეორგანიზაცია.** განათლების კომისარიატის დადგენილებით, განათლების კომისარიატთან დღემდე არსებულ სახელოვნო კომიტეტის რეორგანიზაციის გამო, განათ. კომისარის დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით შესდგა სახელოვნო კომიტეტი ახალი ფუნქციებით და შემდეგი შემადგენლობით, თავმჯდომარის მოადგილეებათ: გრიგოლ რობაქიძე და ს. ქურიძე, წევრებათ: ვლ. სვიმონაშვილი, მელ. ბალანჩივაძე, პროფესიონალური კავშირების კულტგანყოფილების გამგე ლ. რუხაძე, ვასილ იგნატოვი და ხელოვანთა კავშირის ერთ-ერთი წარმომადგენელი.

**—სახელოვნო კომიტეტის განყოფილების გამგეთა დანიშვნა.** კომისარიატის დადგენილებით დაინიშნენ: ლიტერატურული განყოფილების გამგეთ—ს. ქურიძე, მოსახვითი ხელოვნების გამგეთ—გრ. რობაქიძე, პოლიტიკურ განმანათლებელი განყოფილების გამგეთ—ვ. იგნატოვი, თეატრალური განყ. გამგეთ—ვ. სვიმონაშვილი და მუსიკალურ განყ. გამგეთ—მ. ბალანჩივაძე.

**მხატვრების ექსკურსია**

ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და მსმენელები მიემგზავრებიან მცხეთაში დასასვენებლად სადაც მოეწყობა მხატვრების თავისუფალი მეცადინეობა. აგვისტოს დამლევს ექსკურსია მიემგზავრება მოსკოვში სამხატვრო გალერეების და ძეგლების დასათვალიერებლათ.

**—მასწავლებელთა რიცხვის გამრავლება პროვინციებში.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის სასკოლო განყოფილებამ დაადგინა: პროვინციების სკოლებში სწავლების ნაყოფიერ მსვლელობისათვის, მომავალ სამოსწავლო წლიდან გამრავლებულ იქნეს მასწავლებელთა რიცხვი.

**—მოსწავლეთა ჯარში გაწვევის ვადის გადადება.** განათლების კომისარიატმა, განათლების განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომ თანახმად სახ. კომ. საბჭოს დადგენილებისა—საშვალო და უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეებს სწავლის ამთავრებლად ჯარში გაწვევის ვადა გადაედოთ.

ს. მ. უ. ს.

ცენტრ. სავაჭრო სამმართველოს

მაღაზია № 3

(სასახლის ქუჩა № 8)

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო სავაჭრო სამმართველოს (ზაკგოსტორგ) საშუალებით ახლად შეიძინა დიდძალი საზღვარგარეთული საუკეთესო ქსოვილობა:

შევიოტები, გაბარდინები,

მარკიზეტები და სხვ.

საქონლის შეძენა შეუძლია მხოლოდ პროფკავშირების წევრებს საწევრო წიგნაკების წარმოდგენის შემდეგ

აგრეთვე მიღებულია მოსკოვის დიდძალი მანუფაქტურა და მოსკოვის პოლიგრაფიული განყოფილების მიერ დამზადებული ქაღალდი.

შეძენა შეუძლია ყველას

კრ. 279 3—3

ც. ს. სამმართველო.

დეკრეტით მწერლების ბინა, და წიგნთ საცავი გამოცხადდა ხელშეუხლებლად.

მწერალთა კავშირის თხოვნით მას გადასცა განათლების კომისარის მოადგილემ მარიამ ორახელაშვილმა ათასი ფუთი ქაღალდი (დღემდე ყველა კავშირის გამოცემები იბეჭდება ამ ქაღალდზე) მართალია მაშინ ძალიან კრიზისი იყო ქაღალდის და ბევრჯელ სცადა პოლიგრაფიულ განყოფილებამ ეს ქაღალდი ჩამოერთმია ან სესხით ან და სრულებით ჩვენთვის, მაგრამ როგორც კი აუხსნიდით საქმის მდგომარეობას პოლიგრაფიის კოლეგიის მეთაურ მუშებს, რომელნიც პატივს სცემდენ მწერლობას სტოვებდენ ამ ქაღალდს და პირიქით. დახმარებას გვპირდებოდენ მწერალთა კავშირისთვის სტამბის შეძენაში.

რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა მწერალთა კავშირის და გადაწყვეტილი იყო გამოცემის დაწყება—მაგრამ აქ საქმეში ჩაერია ვინმე ბაგდატიევი, რომელიც დაეპატრონა ჯერ მთელ ტფილისის სტამბებს და ქაღალდს და შემდეგ სახელმწიფო გამომცემლობას. ეს ბაგდატიევი ქართველ მწერლებს ურჩევდა ლათინურ შრიფტით წერას და მწერლობა მას მიაჩდა ბურჟუაზიულ ზედმეტობად, მწერალთა კავშირმა გააცნო ვისთვისაც საჭირო იყო ცნობა ბოგდატიევის მოქმედება, ამას ზედ დაემატა რაბკრონის რევიზია და ბაგდატიევი მოიხსნა.

ამ დროს განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი დანიშვნა საპასუხისმგებლო ადგილზე ხელოვნების დარგში: თეატრი იქნებოდა ეს თუ სახალხო კომისარიატი, რომ მწერალთა კავშირს ეს დაკითხებოდენ აზრს ასე მოხდა ორგანიზაცია მთავარ სახელოვნო კომიტეტის და სახ. გან. კომისარიატში, და თეატრების მართველობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი ასრულებდა თავის საქმეს და იმედი ქონდა კიდევ რომ მოგვარდებოდა: საბჭოთა კონსტიტუცია აძლევდა, ამის გარანტიებს და აგრეთვე კავშირს პასუხისმგებლობა.

მაგრამ ორმა საბედისწერო ფაქტმა სრულიად დაშალეს მწერალთა კავშირის პლანები: პირველი მიზეზი იყო („ნეპო“ს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღება) და შემდეგ მწერალთა კავშირის დაყოფა. დავიწყოთ მეორედან: ზოგიერთ უპასუხისმგებლო პიროვნებამ, რომელნიც სრულიად არ იცნობდენ კავშირის წარსულ მუშაობას და მოვალეობას ერთი წამით გახდენ თავიანთ ბნელ საქმეს, (ამაზე ბევრ თქმას ახლა ვერიდები) ემატებოდა ისიც, რომ ბევრი მწერალი. წინად მაინცა და მაინც არ მისდევდა თავის პროფესიას, ისინი დარიგებულნი იყვენ სხვა გარეშე სამსახურში, როცა დაიშალა ეს ორგანიზეციები ისინი მოაწყდენ მწერლობას და დამშეულ ტროგლოდიტებივით, და კავშირის ინტერესი ანაცვალეს პირად კარიერას. ამიტომ მოხდა, რომ მწერალთა კავშირი ორად გაიყო: ახლები წავიდენ ცალკე, ძველები კიდევ ცალკე, ძალები ორად გაიყო და დასაყრდნობი არც ერთს არ აღმოაჩნდა მტკიცე: ცხადია, რომ შეუძლებელი გახდა ერთიანი კავშირის სახელით ლაპარაკი და ამას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა (თანაც ორივე კავშირის საბჭოში დაანება თავი მუშაობას, ს. აბაშელმა, რომელიც გაყოფამდე მთავარი ორგანიზატორთაგანი იყო კავშირის საბჭოში და კავშირიდან გადიტანა თავისი მოქმედება სახელმწიფო გამომცემლობაში (რასაკვირველია ს. აბაშელმა სახელმწიფო გამომცემლობაში ბევრი გააკეთა: გამოსცა ან და მზად არის გამოსაცემად: ვაჟა-ფშაველა, სანდრო ყაზბეგი, ა. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, არტურ ლეისტი, შალვა დადიანი, ვასილ ბარნოვი, ნოე ჩხიკვაძე და ბევრი სხვა, (რადგან გაკეთება შეუძლია სპეცს და ვინც უშუალოდ განაგებს საქმეს). მაშინ როცა მწერალთა კავშირმა გამოსცა მარტო ერთი ზ. ჭიჭინაძის ბიოგრაფია, და რამდენიმე ნომერი ყოველკვირეულ გაზეთის.

მართალია თავიდანვე იყო ცდა ამ გაყოფის ლიკვიდაციისა და ამ მიზნით მოხდა ორგანიზაცია მთავარ სახელოვნო კომიტეტის ხელოვანთა სასახლეში, სადაც შედიოდენ თითქმის ყველა წევრები ძველი ერთიანი კავშირის სხვა ხელოვნების დარგების წარმომადგენლებთან ერთად, მაგრამ რასაკვირველია ჰქონდა გავლენა იმას, რომ კომიტეტის უკან მაინც გაყოფილი კავშირები იდგენ და ვერ პოულობდენ ზაერთო სიტყვას, ამისგარდა მწერალთა კავშირს ჰქონდა ექვსი წლის ტრადიცია და პოპულიარობა, მაშინ. როცა მთავარ სახელოვნო კომიტეტს ვერ იცნობს ფართო საზოგადოება და მწერლების გარდა სხვა სექციები ინერციულად ეკიდებიან საქმეს, რადგან ჰქონდათ თავიანთი საზრუნავი კომიტეტის გარეშე.

გაყოფას თან დაერთო ახალი ეკონომიური პოლიტიკა... და მწერალთა კავშირს დაეტყო დეგენერაცია. (საბჭოთა კონსტიტუციების გარანტიები დარჩა მარტო დეკლარაცია, ხელოვნების სასახლე აქამდე აქვს შემთხვევით დატოვებულ ბინას. ვერ მოხერხდა კომიტეტს ეშოვა სკამები, სხდომებისთვის, ტფილისში ყველაზე მეტი მოხსენებები წაკითხულ იქნა სასახლეში, გარდა კომიტეტის და მისი სექციების აქ იმართებოდა სხვა საზოგადოებათა სხდომებიც, რომელთა შორის ასანიშნავია ს. ს. საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება). ვერ მოხერხდა რომ ქართველ ხელოვანთა პორტრეტები შეეძინა სასახლეს, ვერც ბიბლიოტეკა, და სხვა კიდევ აუცილებელი საგნები. გამომცემლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია სახალხო განათლებ. კომისარიატმა ჩამოართვა მწერალთა კავშირს კლუბი „ქიმერიონი“ (რომელშიც დარჩა რამდენიმე ათ მილიარდათ ღირებული ინვენტარი).ეს კლუბი უკვე დაკეტილია, მხოლოდ მწერლებს შეეძლო მითი სარგებლობა, შემდეგ აქ გამართეს ლოტო და ძვირფასი მხატვრობა ქიმერიონის რომელიც ტფილისის სიამაყეს შეადგენდა დღეს ლამის განადგურებულია. ეს კლუბი მარტო იჯარის ფასს იძლეოდა 500 მანეთს ოქროთი თვეში.

მწერალთა კავშირის საკუთარ გამომცემლობაზე ხომ აგრეთვე არაფერი ითქმის, ცარიელი კასით რომელ ორგანიზაციას დაუწყია მუშაობა? და ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა ტფილისს მოასკდა მოსკოვიდან აუარებელ გამოცემების ტალღა, როგორც ზღაპრული გველეშაპი, ისე ისვრის ახალ წიგნებს რუსული სახელმწიფო გამომცემლობა, ქართულ სახელმწიფო გამომცემლობას, ჯერ კიდევ შკოლების სახელმძღვანელოები, ვერ დაუბეჭდია და როდის უნდა დადგეს მხატვრულ ნაწერების გამოცემის რიგი. და ამასთან დაწესებულ პროცენტულ ნორმით.

ჩვენ შეგვეძლო ამისთვის ყურადღება არ მიგვექცია, რომ საზოგადოთ გამოცემის კრიზისი იყოს, მაგრამ პირიქით დღეს ეს საქმე აყვავებულია.

და ხდება ასეთი კურიოზი ტფილისში, საქართველოს დედა ქალაქში. რუსთაველის პროსპექტზე შვიდი რუსული წიგნის მაღაზიაა და არც ერთი ქართული. საქართველოს სახ. გამომ. წიგნის მაღაზია ბუზების სასაკლაოდაა გადაქცეული, იქ არც ერთი ქართველი მწერალი არ დადის, რადგან იქ სახელგამის გამოცემულ ქართულ წიგნებსაც ვერ იპოვის.

განა არ შეეძლო მწერალთა კავშირს ერთი წიგნის მაღაზია ჰქონოდა?.. დარჩა კერძო ინიციატივა, მაგრამ დღეს პოლიგრაფიული პირობები ისეთია, რომ გიჟი თუ დაიწყებს თავის საკუთარ გამოცემას, თვითონ აპარატი წიგნის გავრცელების ასეა მოწყობილი, რომ ტფილისიდან ქუთაისშიც ვერ აწევს წიგნი და გაზეთი. ამბობენ მარტო პოლიტგანათლებას აქვს 200 მეტი სამკითხველო, ამბობენ რომ საქართველო მოფენილია სამკითხველოებით. საინტერესოა, რას კითხულობენ იქ ქართველი მუშები და გლეხები?.. განა დანაშაული არ არის, ქართული ეროვნული კულტურის წინაშე, რომ გამოუყენებელია ისეთი მძლავრი აპარატი გამოცემისთვის, როგორც მწერალთა კავშირი, რომელსაც ჰყავს მთელ საქართველოში 400 მეტი წევრი და აქედან ნახევარი კვალიფიციური მუშაკ.

შემდეგი თაობა ვერას დროს ვერ აპატიებს მწერალთა კავშირს, თუ დაუდევრობით მან ვერ გააკეთა ის საქმე, რომლისთვისაც არის მოწოდებული.

სირცხვილია გასაგონათ, რომ ილია ჭავჭავაძეს ერთს ჰქონდა მთელი წლობით დიდტანიანი ჟურნალი და გაზეთი და მთელ მწერალთა კავშირს ეს ვერ მოუხერხებია, მაშინ როცა საქართველო ასე იზრდება მკითხველებით. ჩვენ გვგონია ეს თავმოყვარეობის საკითხი არ არის მარტო მწერლებისთვის, ეს თავმოყვარეობის საკითხია საზოგადოებისა და მთავრობისთვისაც. ქართველი ხალხის ეროვნულმა შეგნებამ და მეთაურთა ორგანიზატორულმა ნიჭმა შექმნა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება, რომელმაც ათასობით გამოსცა ქართველი მწერლები, ააშენა ქართული უნივერსიტეტი, და საქართველო მოფინა შკოლებით, ქართველი მამულიშვილი რომ კვდებოდა და თავის ქონებას უტოვებდა ამ საზოგადოებას (მარტო პროფ. ა. ხახანაშვილის ანდერძი რად ღირს) აქედან იღებდენ მწერლები განათლებას, მოიგონეთ, თითქმის ყველა ქართველი მწერლები ამ საზოგადოების სტიპენდიანტი ყოფილა (დღეს მხოლოდ მთავრობას ჰყავს სტიპენდიანტები, ზოგი მათგანი საზღვარ გარეთაც იგზავნებიან. მაგრამ მათში ერთი მწერალიც არ ურევია).

დროა ისევ აღსდგეს საზოგადოებრივი ინიციატივა და დაეხმაროს ქართულ მწერლობას, თორემ მალე მწერლების მარტო ხსენება იქნება. საშუდამო შიმშილს ვერ გაუძლებენ ან და უსაქმობას და ბევრი არა სულმოკლე მწერალიც გამოიცვლის პროფესიას.

ჩვენ გვგონია საზოგადოების ყველა წრეებში გამოიწვევს გამოძახილს თუ ქართული მწერალთა კავშირი მონახავს ამ ძარღვს, აღადგენს თავის პრესტიჟს და ანგარიშს გაუწევს პასუხისმგებლობას. ჩვენ გვგონია მთავრობაც არა ნაკლებ უნდა იყოს დაინტერესებული ქართველ მწერალთა ბედით და მონახოს საშვალება დახმარების.

დღეს თუ სახელმწიფო საჯინიბო ჯიშიან ცხენებს აშენებს და ამისთვის მილიარდები იშოვება, უბედურება იქნება, რომ მწერლობა გადიტანოს უსახსრობამ და ქართული წიგნი მოისპოს: მე დარწმუნებული ვარ, რომ საკმაოა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და სახსარი გამოჩნდება.

ეს უნდა იყოს მორიგი დიდი საქმე მწერალთა კავშირის მომავალ კონფერენციის.

ორგანიზაციული გაერთიანება და გზების მონახვა რომ გამომცემლობა მოგვარდეს, მწერლობის, პრესტიჟი და ავტორიტეტი გაძლიერდეს.

მე მინდა დავასკვნა: თუ საზოგადოებაც გულგრილად მოეპყრობა ამ საქმეს, თუ მთავრობაც ვერ-ან არ მონახავს საშვილებას დახმარებისას—დაე იყოს მთელი მწერალთა კავშირი ღირსი—მარტო ილია ჭავჭავაძის ერთის —რომელმაც შექმნა ქართული პრესსა და ქართული წიგნი და უკასკნელი ღონე ილონოს რომ სირცხვილი აიშოროს თავიდან.

ასეთი კატეგორიული მოთხოვნით უნდა მოვიდენ თვითეული წევრი კონფერენციაზე.

და სადაც იქნება უკასკნელი მონდომება, იქ კლდეც შეიძლება გაიხეთქოს. ეს ექვსი წელი კავშირის ისტორიის ამტკიცებს—რომ გაერთიანებულ კავშირის კოლლექტიურ ნებისყოფას შეუძლია ბევრის გაკეთება.

დავიწყებულ უნდა იქნეს ძველი შეცდომა, გამოცდილებამ უნდა დაუმტკიცოს მწერლებს, რომ თავის რიგიდან განდევნონ მავნე ელემენტები და კარიერისტები. რომ მწერალთა კავშირმა აასრულოს ის დიდი კულტურული და ეროვნული საქმე, რომლისთვისაც არის მოწოდებული.

ტიციან ტაბიძე.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

## განცხადება
## ტფილისის ალმასკ. სამმართველოს
## განყოფილება

განმეორებით აცხადებს ყველა მოქალაქ. საყურად. რომ:

1) არავითარი ძველი ნახმარი **ტანთსაცმელი** არ შეიძლება იყოს გამოტანილი **ბაზარზე გასასყიდათ**, თუ სათანადო **დეზინფექციაში** არ იქნება გატარებული რის დასამტკიცებლად ყოველივე გასასყიდ ტანსაცმელზე უნდა იქნეს დასმული სადეზინფექციო კამერის ბეჭედი, ან ქალაქის, ან სამხედრო უწყების.

2) ყველა სახლების და სავაჭრო დაწესებულების პატრონთ, ან გამგეთ ევალებათ ამის გამოცხადებიდან 2 კვირის განმავლობაში შეიძინონ სანიტარული რვეულები ტფილისის ჯამრთელობის განყოფილებაში ველიამინოვის ქ. № 3!

ამ ორივე ვალდებულების დარღვევისათვის დამნაშავენი იქნებიან სათანადო პასუხისგებაში მიცემული.

სანიტარული სამეულის წევრები: **თაქთაქიშვილი**
**ექ. ვაწაძე.**

## პროგრამა
### შავი ქვის მრეწველთა მე-25 (მორიგი) ყრილობი

1. ყრილობის თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიისა, გ) მარგანეცის კომიტეტის მოხსენებისა.
3. განხილვა სტატისტიკური ცნობებისა მადნების ნაყოფიერებაზე, შავი ქვის რაოდენობაზე, რკინის გზის საწყობებზე და გადატანის რაოდენობაზე: რკინისგზის გადამზიდავ საშუალებებზე და საწყობებზე და სხვ.
4. სამრეწველო რაიონის წყლით ხევებში მისავალ რკინის გზის გაყვანა.
5. სამრეწველო რაიონის წყლით უზრუნველყოფა ძირიდან. (მოხსენება საქმეთა მმართველის).
6. საექიმო დახმარების გაწევა მუშა-მოსამსახურეთათვის.
7. მარგანეცზე დადებულ საფუთო გადასახადისა და მისი დანიშნულების შესახებ. (მოხსენება—თევზაძისა).
8. რკინის გზის საკითხები—(მოხსენება—თავმჯდომარისა).
9. ჭიათურაში თუჯის და სხვა რკინეულობის ნაწილების დამამზადებელი სახელოსნოს გახსნა.
10. მიმდინარე საკითხები.
11. 1923 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
12. თანამდებობის პირთა არჩევანი.

## თბილისის აღმასრულებელი
## კომიტეტი

ამით აცხადებ, რომ ავტომობილების და მოტოციკლეტების რეგისტრაციის ვადა გაგრძელებულია ამა 1923 წ. 1 აგვისტომდე ის ავტომობილები და მოტოციკლეტები, რომლებიც 1 აგვისტომდე არ გატარებულან თბილისის ალმასკომის რეგისტრაციაში და არ შეუძენიათ ნომრები, იქნებიან დაკავებული ალმასკომის სამმართველოს განყოფილების მიერ.

**პრეზიდიუმი.**

## ალმასკომის საფინანსო განყოფილება

ქალ. ალმასკომის სავალდებულო დადგენილება № 9-ის განსამარტავად, აცხადებს საეოველთაო საყურადღებოდ. რომ ბაზარზე შემოტანილ საგნების აწონვა სავალდებულო არ არის ე. ი. ყველა მოქალაქეს უფლება აქვს თავისი საქონელი გაყიდოს აუწონლად. თუ საქონელი წონით გაიყიდება, უკანასკნელი აუცილებლად უნდა აიწონოს ქალაქის სასწორზე, ასაწონ ფასის გადახდით, ნიხრის მიხედვით. კერძო მოვაჭრეებს, ბაზარში გასასყიდად შემოტანილ, საქონლის თავიანთ სასწორზე აწონვა სასტიკად ეკრძალებათ.

საფინანსო განყოფილების გამგე: **ფიალკოვსკი.**

## ტფილ. ალმასკომის სამმართველოს
## განყოფილება

აცხადებს შეჯიბრებას ტფილისის მილიციის თანამშრომლებისათვის 659 „კომპლექტი" საზაფხულო ტანისამოსის შეკერვის იჯარით გაცემაზე. შეჯიბრება დანიშნულია ა. წ. 1 აგვისტოს დღის 12 საათზე სამმართველოს განყოფილების შენობაში (დუმბაძის ქ. ყოფილი ველიამინოვის, № 7, ოთახი 8). ვისაც სურს მიიღოს შეჯიბრებაში მონაწილეობა, უნდა წარმოადგინოს განცხადებები დაბეჭდილ კონვერტში ცნო)ით განყოფილების სალაროში გირაოთ 50,000,000 მანეთის შეტანაზე. დაწვრილებითი პირობების გასაგებად მიმართედ განყოფილების

სამნეო ნაწილის უფროსს.

სამმართველოს განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის
წევრი: **თაქთაქიშვილი.**

ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი: **ახვლედიანი.**

## განცხადება

ქალაქებში, მდებარე ის მამულები, რომელნიც დაგირავებულნი არიან ყოფ. ტფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებში და ყოფ. ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში, და რომელთა თავნი ვალის გადახდისათვის არ არის შემოტანილი დაწესებული—ვადიანი შემოსატანი გაიყიდებიან **საჯარო ვაჭრობით.**

მოვაგონებთ მესაკუთრეებს, რომელთაც არა სურთ საჯარო ვაჭრობამდე მიიყვანონ საქმე და გასწიონ ხარჯები პუბლიკაციაზე და ჯარიმებზე, რომ თავის დროზე შემოიტანონ ვადიანი ხვედრი შემოსატანები საქართველოს სახალხო ბანკის საიპოთეკო განყოფილებებში ტფილისში და ქუთაისში.

ფულის შეტანა შეიძლება აგრეთვე სახალხო ბანკის ყველა სხვა განყოფილებებში.

ოქროს მანეთის ღირებულება ვადიან შემოსატანისათვის და მთელ ვალის ერთდროულ გადახდისათვის 1923 წ. 31 ივლისამდე დაწესებული ერთი მილიონი (1,000,000) მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

### შინაგან საქმეთა სახალხო
## კომისარიატი

აცხადებს, რომ კვირას 29 ივლისს, დღის 2 საათზე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში (ყოფ. კადეტთა კორპუსი, შესავალი ევანგულოვის ქუჩიდან, ოთახი (№ 016 შესდგება

## სიტყვიერი ვაჭრობა

**მილიციისათვის საზაფხულო ტანთსაცმელის შეკერვის იჯარით გასაცემათ, 300 კომპ. რაოდენობით.** ცნობების მიღება ვაჭრობის შესახებ შეიძლება იქვე ოთახი № 16) ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა.

## ა. კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი
## აცხადებს რომ: განახლებულია ოქროს 6% ესხის ობლიგაციების გაყიდვა
## მოაწერეთ ხელი 6% ოქროს მომგებიან სესხზე
### კოლექტიურათ ხელის მომწერთ ეძლევათ 5% შეღავათი

კუპონებზე კუთვნილი და პროცენტები მოგებანი, დაუყოვნებლივ და სრულად განაღდებული იქნებიან ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით, ფულის ანაზღაურების დღის მაგარ სავალიუტო კურსის მიხედვით.

## მოგებათა მახლობელი ტირაჟი დაწყება ამა 1923 წლის 20 აგვისტოს

თუ გამოსტოვე თ30 აპრილის მოგება, პირველ ტირაჟამდე მოგებიან სესხის უყიდლობით, დაეჩქარეთ იყიდოთ ობლიგაციები 20 აგვისტ ობლიგაციები გამოვებულია

### 5 და 25 მან. ოქროთი

**5 მან. ობლიგაციებს აქვს ერთი ნომერი, 25 მან. კი ხუთი ნომერი, რომელთაგანაც ყოველს ცალკე შეუძლია მიიღოს**

ობლიგაციები თანახის რაოდენობის მიხედვით, მიიღებიან ყველა სახაზინო იჯარების და მიწოდებათა ბეთ; აგრეთვე იმითვე შეიძლება სააქციზო და საბაჟო გადასახადების დაფარვა.

საკრედიტო დაწესებულებები სესხის მოგებიანი ობლიგაციებში გასცემენ თანხებს მისი ღირებულების 70 პროც.-დე, წლიურ 9 პროც.-დან ანგარიშიდან. სესხის ობლიგაციები და მით საშუალებით მიღებული თანხები და მოგება სამუდამოთ თავისუფლდებია საღ̈რბო და სხვა გადასახებიდან.

**ოქროს მომგებიანი სესხი:**
- ყველას აძლევს საშუალებას დაზღვევით იხსნან თავისი შემონახული თანხები ღირებულების სრულ დაკარგვიდან.
- იძლევა საშუალებას დიდი თანხის იოგებისას,—100.000 მან. ოქროთი.
- ყველას აძლევს საშუალებას თავის შემონახულ თანხებიდან მიიღოს ოქროს კურსით წლიური 6 პროც.
- ყველას აძლევს საშუალებას სურვილისამებრ დაიბრუნოს თავისი შემონახული თანხები ოქროს კურსით ობლიგაციების გაყიდვისათვეს-

**სესხის ობლიგაციები იყიდება ამიერ-კავკასიის საკრედიტო დაწესებულებებში და აგრეთვე ყველა სამაზრო საფინანსო განყოფილებებში, ხაზინებში, ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებში, კოოპერატიულ ორგანიზაციებში და სხვა და სხვა ადგილებში.**

სამხედრო სტამბა ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3. გლავლიტი № 408 ტირაჟი 1000.